ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია და ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ

## პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

# რეგიონული პროექტი: ეკონომიკური დანაშაულის პრევენციის და წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში

პროექტი მიზნად ისახავს დაუპირისპირდეს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ზოგად გამოწვევებს და ამასთანავე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში გააძლიეროს რეგიონული თანამშრომლობა კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) კუთხით, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით. პროექტი ხელმისაწვდომს ხდის პლატფორმას ევროკავშირის დონეზე შემუშავებული სტანდარტების თანმიმდევრული და ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობისათვის, ისევე როგორც კარგ პრაქტიკას, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე დოკუმენტებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლების ორგანოების მიერ განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენების მიზნით (AML/CFT პრევენციისა და მიზანმიმართული სანქციების კუთხით), განსაკუთრებით კერძო სექტორებთან ურთიერთობისას.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში, 2023 წლიდან 2027 წლამდე პერიოდში. იგი ეფუძნება აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

## პროექტის მიზნებია:

- კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ეფექტიანად ბრძოლისათვის, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის შესაბამისი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც განხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, რეგიონის საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე და მრავალმხრივი ჩართულობისა და გაძლიერებული თანამშრომლობის გზით.

## ვინ ისარგებლებს პროექტით?

- AML/CFT საზედამხედველო ორგანოები;
- ფინანსური დაზვერვის ერთეულები (FIUs);
- სამართალდამცავი ორგანოები;
- სპეციალიზებული ანტიკორუფციული ორგანოები;
- საკანონმდებლო ორგანოები;
- სასამართლო და პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლები;
- პოლიტიკის მრჩევლები და საკოორდინაციო ინსტიტუტები ცენტრალური ადმინისტრაციის დონეზე;
- AML/CFT და ანტიკორუფციული ღონისძიებების გამოყენებაზე პასუხისმგებელი კერძო სექტორის სუბიექტები;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საქართველოს მოსახლეობა.

## მეთოდოლოგია

## მოსალოდნელი შედეგები

- საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის / საკანონმდებლო, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების მეშვეობით.
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებების გამოსაყენებლად;
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლისა და პრევენციის ეფექტიანი ზომების და მიზანმიმართული სანქციების გამოყენებისთვის.

## პროექტის ბიუჯეტი

- პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 762 500 ევროს.
- პროგრამის საერთო ბიუჯეტია 19.3 მილიონი ევრო (80% დაფინანსებულია ევროკავშირის და 20% ევროპის საბჭოს მიერ).

## პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი გრძელდება 2023 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 28 თებერვლამდე.

## როგორ მივიღოთ მეტი ინფორმაცია?

- პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის
- ვებგვერდი: http://partnership-governance-eu.coe.int/
  ელ-ფოსტა: dpc_pgg@coe.int

*„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“(PGG) არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად.*

*PGG უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერას მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ის მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშინაო რეფორმებს მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკური დანაშაულისადმი წინააღმდეგობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. PGG მხარს უჭერს საქართველოს ევროპული პერსპექტივის დღის წესრიგში, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.*